№ 83364

Date 02.02.2022

RMG COPPER

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო/ქალბატონო,

გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ს დაგეგმილი აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი კუდების მართვის მიზნით ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმიანობა ითვალისწინებს არსებული კუდსაცავის ოპერირების შეწყვეტას, ახალი კუდსაცავის მშენებლობასა და კუდების განსხვავებული მარშრუტით მიმართვას ახალ კუდსაცავზე, არსებითად შეიცვლება მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის სხვა პირობებიც.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ამავე კოდექსის თანახმად, თუ საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, თუმცა საქმიანობის განმახორციელებელს მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები (მუხლი 7. ნაწილი 13).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

№ 1628
"03" 02 2022

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

დანართები:

1. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკი 1 ცალი.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
225358341